დავით წიკლაური

ISCTE ლისაბონის უნივერსიტეტი, პორტუგალია

დავით წიკლაური, კავკასიის უნივერსიტეტის კვლევის ხელშეწყობის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტების დირექტორი, დავით წიკლაური, 2026 წლის 13–17 აპრილს მონაწილეობდა Erasmus+ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აკადემიურ მობილობაში, რომელიც გაიმართა ISCTE ლისაბონის უნივერსიტეტში, პორტუგალიაში.

მობილობის ფარგლებში მან მონაწილეობა მიიღო როგორც აკადემიურ, ისე კვლევით აქტივობებში, მათ შორის ხარისხობრივი კვლევის ვორქშოპში, რომელიც შეეხებოდა სამუშაო გარემოში ინკლუზიის საკითხებს.

ასევე, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დავით წიკლაურმა მონაწილეობა მიიღო პროექტის „HERE: Higher Education for Resilient Economy“ ფარგლებში გამართულ აქტივობებში და შეხვდა წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორებს, რაც მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო პუბლიკაციის სტრატეგიებისა და აკადემიური სტანდარტების უკეთ გააზრებისათვის.

დავით წიკლაური ასევე იყო სპიკერი მრგვალ მაგიდაზე, რომელიც ეხებოდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას საუნივერსიტეტო სწავლებაში, სადაც მონაწილეობდნენ მკვლევრები პორტუგალიიდან, პოლონეთიდან და სამხრეთ აფრიკიდან.